Г-3346

80/4

85/7
80

ახალგაზრდა პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

რედაქცია ტფილისი, განათლების სახალხო კომისარიატი.	კვირა 16 ნოემბერი 1924 წ.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი მასალები უნდა იწერებოდეს ცალ გვერდზე, ავტორის ხელის მოწერით და სკოლის აღნიშვნით.	ფასი 3 კაპ.

№ 2 ქართველი მოწაფეთგის ყოველ-კვირეული გაზეთი № 2

Г-3346

„მოწაფის ხმის“ რედაქცია აუწერელ მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას და მოწაფეობას ს. ს. რესპუბლიკის სახალხო არტისტის

ვანო სარაჯიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას.
დაკრძალვა მოხდება კვირას, 16 ნოემბერს.

საქართველოს რესპუბლიკის არტისტი.

ვანო სარაჯიშვილი.

11 ნოემბერს დილით $5^1/_2$ საათზე გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ოპერის მომღერალი ვანო სარაჯიშვილი. ამ ამბავმა თავზარი დასცა მთელ ქართველ საზოგადოებას.

ვინ არ იცნობს მას?

ვის არ გაუგონია მისი მომხიბლავი ხმა ისეთ ოპერებში, როგორიც არის „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი!? ვანო ცნობილია არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთში და საზღვარგარეთაც.

ვანო სარაჯიშვილი დაიბადა 1880 წელს 1-ლ მაისს, ქ. სიღნაღში. სწავლობდა ქართულ გიმნაზიაში, მაგრამ 16—17 წლისა გამოვიდა ქალაქიდან და შევიდა სამუსიკო სასწავლებელში. მატერიალური და ეკონომიური მდგომარეობის გამო იძულებული გახდა გამოსულიყო სამუსიკო სასწავლებლიდანაც და ეძებნა სამსახური.

შემდეგში ის მაინც განაგრძობს თავის ხმის დამუშავებას და სწავლობს რუსეთის ცნობილ მომღერალთან პრიანიშნიკოვთან.

1905 წელს ის უკვე გამოდის სცენაზე იტალიაში და შემდეგ საქართველოშიაც. რამოდენიმე წელიწადი ის კიდევ განაგრძობს სწავლას და შემდეგ უკვე როგორც ცნობილი მსახიობი გამოდის ქართულ და რუსულ სცენაზე საქართველოში.

ვანო მოღვაწეობდა სცენაზე 20 წლის განმავლობაში და 1923 წელს 16 მაისს საბჭოთა მთავრობამ გადაუხადა მას სცენაზე მოღვაწეობის 20 წლის იუბილე და მიანიჭა **რესპუბლიკის სახალხო მსახიობის სახელი.**

ქართველი საზოგადოება დიდი აღფრთოვანებით შეეგება მის იუბილეს.

დღეს კი... მთელი საზოგადოება მწუხარებით შეხვდა მის მოულოდნელ და უდროო სიკვდილს. დიდი დანაკლისია მისი დაკარგვა ჩვენი სცენისა და საზოგადოებისათვის, მაგრამ ამას ჩვენ, განსაკუთრებით ახალგაზდობა შეგნებულად უნდა შევხდეთ და პატივი ვცეთ მის ხსოვნას იმით, რომ მოვიკრიბოთ ძალები და შემდეგში შევუმსუბუქოთ ქართულ ოპერას ეს მძიმე დანაკლისი და ხელი შეუწყოთ მის წინსვლას.

მერაბ ორახელაშვილი

მე-14 შრომის სკოლა.

ვინ იყო ვანო?

სამწუხაროდ ამ კითხვაზე პასუხი მაშინ უნდა გავცეთ, როდესაც დავობლდით, როდესაც ვანო აღარა გვყავს. ქართულს, ვარსკვლავებით შემკულ ოპერას მოსწყდა ერთი მოკიაფე დიდი ვარსკვლავი ვანოს სახით და შთაინთქა ბნელს, უკუნეთის ჯურღმულში. დღეიდან ვეღარ მოვისმენთ ვანოს მძლავრს და ანდამატივით მიმზიდველს, მგრძნობიარე ხმას. განა შეიძლება ადამიანმა ვანოს ხმის სიტკბო, მგრძნობიარება, აღელვება, გატაცება, აღტყინება სიტყვით, ან კალმით გამოხატოს? ვამბობთ: სიტყვები არ არის მის შესამკობად, ამიტომ, რომ

ვანო სარაჯიშვილი.
რესპუბლიკის სახალხო არტისტი.



„დაისი“ ვანო სარაჯიშვილი მალხაზის როლში.

მის რომელიმე, თუნდაც მცირე სიმღერაში იხატებოდა მთელი ცხოვრება, პოეზია ქართველის სულისა და გულის, ქართველის ჩვეულება, მისი ნაღვლიანობა, სიხარული. ყოველივე ამის გამომხატველი ვინ იყო? ისევ და ისევ ვანო, რომელიც დღეს ჩვენთან აღარ არის. ვანოს სიკვდილის შემდეგ ხელში შეგვრჩება „დონხოზეს“, „აბესალომის“, „მალხაზის„ ჩონჩხები, რომელთა სულის ჩამდგმელი ვანო დავკარგეთ. ვანომ დაამბლა ოპერა, ოპერის მუსიკა, რომელიც ვეღარ გამოიყვანს ვანოსთანა მომღერალს და მოთამაშეს. დღეს ყველა ვანოს სიმღერის მომსმენი მგლოვიარეა, რადგანაც ვანოს სიკვდილი, სიკვდილია ქართული ტკბილი ურმულის, ოროველასი, რომელსაც ვეღარ მოვისმენთ ვანოსაგან. დღეს თვით ვარსკვლავნიც დამგლოვიარდენ ცაზე, რადგანაც აღარა გვყავს ნარ—ეკლიანი გზის გამკაფავი ვანო, თავისი მრავალფერი, ‘კალმით აუწერელი განცდებით. ქართულ სცენაზე ვანოს სიკვდილმა აალაპარაკა გლოვის ზარები, რომელნიც გულშემზარად აგრძნობინებენ მსმენელთ მის გარდაცვალებას. ვეზიარებთ ქართველი ხალხის მწუხარებას. მოზარდი ახალგაზრდობა მუხლს ვიყრით მის ცხედრის წინაშე და მოწიწებით მიუძღვნით უკანასკნელს ამბორს მის პატიოსანს გვამს.

ცას მოსწყდა ერთი ვარსკვლავი,
დაბლა დაეცა ხმელეთსა,
აღარ გვყავს სარაჯიშვილი,
უცებ მოედო მთელ ერსა,

——

ელვის წუთები დაგვიდგა,
სცენის დავკარგეთ ჩვენ ლომი,
წავიდა, თან წაიყოლა
მალხაზი, აბესალომი.

——

ქნარი ხომ მაინც დარჩება,
მომგვრელი ლხენა შვებისა,
ესეც დიდ განძად ჩარჩება
ღრმად გულში ქართველ ერისა.

სამეული შ. ც. ვ.

მე-2 შრ. სკოლა,

სარაჯიშვილის ხსოვნას.

ცა იცრემლება შენის გლოვითა,
ქართველი ერი სტირის ობლობას,
შესწყდა ნაკადი წკრიალა ხმების,
ვინც გვიქადოდა ქართველთ ერთობას:

შენი ურმული, სევდით აღსავსე,
გამომეტყველი ხალხის გრძნობისა,
თავისუფლების წინამარბედი,
მღაღადებელი მტკიცე ძმობისა,

დღეს სიჩუმეა ქართულ თეატრში,
ვანო აღარ გვყავს ის აღარ სცოცხლობს,
რადგან ბულბული, შემამკობელი,
წმინდა, მჩქეფარე ხმით აღარ გალობს.

და ნარნარი ხმა, სევდით მკვნესარი,
ქართველის გულში აღარ იალებს,
სარაჯიშვილი აბესალომში
როლის ექსტაზში არ იტრიალებს..

ბაგეს ჯადოსნურ ხმების მფრქვეველსა,
შავი სავანე გადეფარება,
მაგრამ შენს სახელს, დიდო მღერალო,
ო, დავიწყება არ ეკარება.

ცა იცრემლება შენის გლოვითა,
ქართველი ერი სტირის ობლობას,
შესწყდა ნაკადი წკრიალა ხმების.
ვინც გვიქადოდა ქართველთ ერთობას.

ალ. რობაქიძე

ტფ. I ხაც. სან. შრომის სკოლა

ვანო სარაჯიშვილი.

ვის არ მოუსმენია, ვის არ გაუგონია მისი სიმღერა? ყოველი მისი ხმის ძგერა ადამიანს გულის სიღრმემდი სწვდებოდა, ავიწყებდა ამ ქვეყნის ჭირ-ვარამს. მახსოვს პირველი დადგმა „აბესალომ და ეთერისა“, უკანასკნელ მოქმედებაში აბესალომის სიკვდილის ხანს მისმა მინაზებულმა ხმათა ძგერამ უსაზღვრო მწუხარება გამოიწვია, მინდოდა მუხლებზე დავცემულიყავ და თაყვანი მეცა მისი ბუნებით დაჯილდოვებული, ზენაური ნიჭისთვის.

თუნდ „დაისში“, „თავოჭრემო“... რამდენი ნაღველი ისმის მის ხმაში. ის არ იყო აქტიორული გამოსვლა ხალხის დასაკმაყოფილებლად. არა, ის იყო შემქმნელი ამ უდიდესი როლისა. და აი ვისაც არ უნახავს ვანო სარაჯიშვილი, ვისაც არ ჩასწვდომია მისი ხმა გულში, ის ვერ დააფასებს მას, ვერ შეასხამს შესაფერ ქებათა-ქებას. მოკვდა იგი, მაგრამ ვისაც უნახავს ის ამ როლებში, მისი სახე გულში სამარადისოდ დარჩება, ხოლო ჩვენში, ახალგაზრდა მოწაფეებში ის იქნება უკვდავი. მისი ხმა ჩვენს გულში ღრმად იქნება შენახული და ლეგენდისებურად გადაეცემა ახალ-თაობას, რომ იყო იგი უდიდესი ნიჭიერი ადამიანი, რომლის გულიდან გამოისმოდა დაუშრეტელი გრძნობათა ხმები, რომელიც ჯადოვებდა, ხიბლავდა მის მსმენელებს.

გ. ჩიხლაძე.

მე-15 შრ. სკოლა.

Центральная библиотека

3. სარაჯიშვილის ხსოვნას.

და სდუმდა არე დამათრობელ ხმების ელვარაში,
მსმენელთა გული თანაუგრძნობს თვალწარმტაც „მალხაზს,“
ის ჩავარდნილა სიყვარულის მძლავრს, მტანჯავ ცეცხლში
მისი ხმა ნაზი, მისი ტანჯვა ჩვენც გულსა გვიკლავს.

ო, სდუმს ოპერა, მისი ბაღი ფიქრში ჩანთქმული,
იქ, გვერდზე ბაღში ფოთლებიც კი აღარ შრიალებს,
ყველა სულდგმული სევდის ქსელში მძიმედ გაბმული,
შავი ღრუბლებიც ჩვეულებრივ აღარ ფრიალებს.

ბაღის ნაპირას, ყვავილთ შუა სახე აკაკის
უსმენდა ხმასა, კმაყოფილი იყო იქ ყოფნით,
ვანოს ურმულით, ოროველას ტკბილი რაკრაკით,
სტკბებოდა ხალხი, იხსენებდა მას ქება-ხოტბით..

მაგრამ რა მოხდა? რა აერჭოლებს, აძრწუნებს დღეს ხალხს?
რათ შრიალებენ ნერვიულათ ბაღში ფოთლები.?
აკაკის სახეც შავათ მოსჩანს, რათ იკრავს ის თალხს?
რათ ჩამოგვტირის ეს კედლები, როგორც ობლები?..

რათ სტირის არე რამ შესცვალა ყველას გუნება?
რათ არ ანათებს ღამ-ღამობით მთვარე, მზის--შვილი.
და ამ კითხვებზე, გიპასუხებთ მთელი ბუნება:
„გარდაიცვალა მომღერალი სარაჯიშვილი“

მე-14-ე შრ. სკ. მოწაფე. **მიშა გველესიანი.**

ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა.

პირველი საუბარი

ორი სამყარო.

უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში ევროპის განვითარება ელვის სისწრაფით მიმდინარეობდა. ზღაპრულად იზრდებოდენ ქალაქები, უზარმაზარი შენობების მწვერვალები ცას სწვდებოდენ, სოფლების განვითარება წინ მიდიოდა; სოკოსავით მრავლდებოდენ ფაბრიკები და ქარხნები. ადამიანის გონება ჩასწვდა მიწის გულს, იქიდან ამოქონდა აუარებელი სიმდიდრე, სხვადასხვა მადნები: რკინა, ნახშირი, ნავთი...

მამაპაპური სახნისი ორთქლის [illegible] შესცვალა, ხ�პრიალა ურემი, საზიდი კი ძლიერმა ორთქლმავალმა, რომელიც ელვის სისწრაფით მიაქანებს მგზავრებს, ნედლ მასალას, თუ დაშზადებულს საქონელს მსოფლიოს ყოველ კუთხეში.

ამგვარი მნიშვნელობის არის ზღვების და ოკეანების გემებიც, რომლებმაც ბრავალი ზღვას იქითა ქვეყნები დაუკავშირა ხმელეთის სახელმწიფოებს და აღებ-მიცემობის საქმეში ჩაბა.

ადგილობრივი ბაზარი მსოფლიო ბაზრად იქცა.

ზღაპრულად იზრდებოდა სიმდიდრე, თავბრუდამხვევი სისწრაფით მიდიოდა წინ მრეწველობის განვითარება.

და აი, რაც ასი წლის განმავლობაში კაცობრიობამ შექმნა, რაც მოგვცა ასი წლის წინსვლამ, რაც შეგვძინა მრავალ მილიონ მუშა-ხელმა, მსოფლიო ომმა ოთხი წლის განმავლობაში გაანადგურა, არარად აქცია.

რა იყო მიზეზი ამ მსოფლიო ომის დაწყებისა?

— ბურჟუა-კაპიტალისტების გაუმაძღრობა: მათ უნდოდათ დაეპყრო სხვა ქვეყნების მაღაროები, მადნები და ბაზრები თავისი ნაწარმოების გასასაღებლად.

მრავალი ათასი ქალაქი მიწასთან იქმნა გასწორებული, აუარებელი სოფელი აღგავეს დედამიწის პირიდან, ტრანსპორტი დაანგრიეს, ხიდები ააფეთქეს, მაღაროები დაურუვდა, ქარხნებში შესწყდა ხმაური, საყვირის ხმა აღარ აღვიძებდა მუშათა რაზმებს და არ იწვევდა სამუშაოდ.

ევროპა ჩავარდა საშინელ სიღატაკეში და წინსვლის მაგივრად, 50 წლით უკან დაიხია.

სამაგიეროდ საფრანგეთის კაპიტალისტებმა ხელში ჩაიგდეს გერმანეთის რკინის მაღაროები, ინგლისისა და იაპონიის კაპიტალისტებმა დაიპყრეს გერმანეთის ბაზრები და მისი ევროპის გარე არსებული ადგილები,

თვით გერმანეთს, ავსტრიას და რუსეთს ჩამოგლიჯეს კარგი მოზრდილი ნაწილები და შექმნეს იმათგან რაღაც მოსაჩვენარი, პატარ პატარა „დამოუკიდებელი„ ბურჟაზიული სახელმწიფოები: ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, ჩეხო-სლოვაკეთი, უნგრეთი, სამხრეთ-სლაველთი და პოლონეთი. როგორი იყვნენ სინამდვილეში ეს პატარა სახელმწიფოები? მართლა აქვთ მათ დამოუკიდებლობა, თუ არა?

ჩვენს ხანაში არც არის და არც შეიძლება იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფოები.

რატომ.?.

უმარგანცოთ წარმოუდგენელია ფოლადის დამუშავება, მარგანეცი კი მხოლოდ საქართველოს და ინდოეთს აქვს.

ამიტომ მთელი ქვეყნის მრეწველები, სადაც ფოლადს ამუშავებენ, დამოკიდებული არიან საქართველოს, ან ინდოეთის მარგანეცზე.

ის სახელმწიფოები, რომელთაც არ აქვს, ან ცოტა აქვს ნავთი, დამოკიდებულია ბაქოს, მოსულისა და პენსილვანიის ნავთზე.

სახელმწიფოები, რომელთაც არა აქვთ ქვა-ნახშირი, რკინა, ბამბა, დამოკიდებულია იმათაგან, ვისაც ეს ნედლი მასალა მოეპოვება, და პირიქით, ის სახელმწიფოები, რომელთაც ეს ნედლი მასალა აქვთ, დამოკიდებულია იმ ქვეყნებზე, სადაც შესაძლებელია ამ მასალის გასაღება.

არა მარტო ნედლი მასალის გამო არიან დამოკიდებული ერთმანეთზე სახელმწიფოები.

დამუშავებული, დამზადებული ნაწარმოების გასაღების საკითხიც დიდ შეხლა-შემოხლას იწვევს სახელმწიფოთა შორის. ვსთქვათ, ამერიკა, ან ინგლისი შეუჩერებლად ამზადებს რკინის გზის რელსებს, ორთქლმავლებს, მანქანებს, ავტომობილებს და სხვ. ბევრად მეტს, ვიდრე საჭიროება მოითხოვს. ამ შემთხვევაში ისინი დამოკიდებული არიან სხვა ქვეყნებში აღნიშნული საქონლის გასაღებაზე, ე. ი. მსოფლიო ბაზარზე.

იყო დრო, არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, როდესაც არავითარი მსოფლიო ბაზარი არ ყოფილა.

მაშინ ნავთი უსარგებლო რამ სითხე წარმოადგენდა, რკინა და ნახშირი უნაყოფოთ ეწყო მიწის გულში, მხოლოდ, ხანდისხან ამოიღებდენ მიწიდან რაიმე ხელსაწყოს გასაკეთებლად.

იყო დრო, როდესაც დიდმა უმრავლესობამ ადამიანებისამ არ იცოდა თუ იყო შესაძლებელი ბამბისაგან რაიმე ქსოვილის მომზადება და კმაყოფილდებოდენ მხოლოდ შალის ტანსაცმელით.

დიაღ, არც ისე დიდი ხანი გასულა მას შემდეგ. აი, მაშინ მაროლა არსებობდენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ახლა ასეთი სახელმწიფოები არც არის და არც შეიძლება იყოს. შეიძლება ჩვენმა ახალგაზრდა მკითხველებმა იფიქრონ: ამგვარი მდგომარეობა საერთოა მთელი ქვეყნის სახელმწიფოებისათვის და რა არის აქ ცუდი, დასაძრახი. იქნება ისიც თქვას ვინმემ, ასეთი დამოკიდებულება თითქოს ხელს უწყობდეს კაცობრიობას თავისი ყოფა-ცხოვრება კარგად მოაწყოს.

თუ ჩვენი მკითხველები ასე ფიქრობენ, არ შეიძლება ითქვას, რომ ეს შემცდარი აზრია.

ასე ფიქრობენ კომუნისტებიც.

მაგრამ ასე არ მსჯელობენ კაპიტალისტები?

რატომ?

იმიტომ, რომ ისინი თავის მსჯელობაში ხელმძღვანელობენ თავისი პირადი მოგებით, თავისი პირადი კეთილდღეობით, სხვას კი არდაგიდევენ, კაცობრიობის კეთილდღეობა მათ ფიხებზე ჰკიდია.

მთელი ქვეყნის მუშებში დღითიდღე ძლიერდება კაპიტალისტებისადმი მტრობა და ვითარდება შეგნება იმისა, რომ დღეს თუ ხვალ უნდა დაინგრეს მტაცებელთა ბუდე და მთელი კაცობრიობა განთავისუფლდეს მათი ულლისაგან. **ლ. გ.**

მოწაფეთა თვითმართველობა.

სანამ შევუდგებოდეთ მოწაფეთა თვითმართველობის მნიშვნელობის ახსნას, მოკლედ განვიხილოთ, თუ რას წარმოადგენდა მოწაფე 1917 წლის რევოლუციამდე. უწინ მუშისა და გლეხის შვილისათვის სასწავლებელი უცხო ხილი იყო. რადგანაც სწავლა მათთვის ძალიანი ძვირი იყო; თუ ზოგიერთი ამას მოახერხებდა როგორმე,—მალე ფრთები ეკვეცებოდა მის გატაცებას და ხალის დაკარგული, უსიხარულოდ დადიოდა სკოლაში. რად ხდებოდა ეს? იმიტომ, რომ ძველ სკოლაში არ უწევდენ არავითარ ანგარიშს ბავშის ბუნებას და მიდრეკილებას, არ აძლევდნენ მას გასაქანს და ძველი, დახავსებული, სქოლასტიური სწავლა-აღზრდით რაღაც უსულ-გულო მანქანებად, მეფის მთავრობის ყურ-მოჭრილ მონებად ხდიდენ. აღზრდის საუკეთესო ხერხად მიჩნეული იყო „როზგი“, „კარცერი“, უსადილოთ დატოვება და სხვა. საკვირველიც არ იყო, რომ მოწაფეობას სწავლის ხალისი ეკარგებოდა და ხშირად ბევრ ნიჭიერ ახალგაზდას მიუტოვებია „სულის შემხუთავი“ სკოლა. ისიც ვიცით, რომ მაშინდელი მთავრობისათვის არც იყო ხელსაყრელი, რომ სწავლა-აღზრდა გავრცელებულიყო ფართო მასაში, მაშინ ხომ შეიგნებდა და დაფიქრდებოდა ხალხი იმ უსამართლობაზე, რომელსაც ადგილი ქონდა სკოლაში, თუ სხვაგან. ეს ხდებოდა ქალაქში, სოფელში კიდევ უარესი! აღარ გავაგრძელებ ამ საკითხზე ლაპარაკს და გადავალ ეხლანდელ **თავისუფალ შრომის სკოლაზე.** საბჭოთა რესპუბლიკებმა ახალ შრომის სკოლის შექმნაში სხვა სახელმწიფოებს გაუწინა. განათლების კომისარიატმა დაადგინა, რომ ყოველივე შინაური საქმე სკოლაში მოწაფეებმა თვითონ მოაწესრიგონ. მოწაფე უნდა იყოს თავისი სკოლის პატრონი. მან უნდა ააშენოს ეს სკოლა ისე, რომ შემდეგ თაობას დარჩეს უფრო მოწყობილი და გაუმჯობესებული სწავლა-აღზრდის კერა. თვით მოწაფემ უნდა დასაჯოს თავისი ამხანაგი და არა მასწავლებელმა, თუ კი დასჯა საჭირო იქნება. მოწაფეს არ უნდა დავიწყდეს, რომ მასწავლებელი ერთი დღის განმავლობაში დაიღლება ისე, როგორც მოწაფე სამი ოთხი დღის განმავლობაში. ამიტომ ის უნდა ეცადოს როგორმე შეუსუბუქოს შრომა მასწავლებელს,—თავის უფროს ამხანაგს და მასთან ერთად იმუშაოს. ყოველ ჯგუფში უნდა იყოს თვითმმართველობა, რომელიც უნდა განაგებდეს ამ ჯგუფის საქმეებს. რას ნიშნავს თვითმართველობა? ზოგს ჰგონია, რომ თვითმართველობა არის ჯგუფში მხოლოდ წესრიგის დამცველი. სრულიადაც არა! წესრიგს დაიცავს ყოველი მოწაფე, რომელ მოწაფესაც კი უნდა სწავლა. გამგეობა არის იმისთვის, რომ მოაწესრიგოს ყოველივე საქმე ჯგუფში. ყველა სკოლებში, ყოველ ჯგუფში უნდა იყოს მოწაფეთა თვითმართველობა. სკოლის თვითმართველობა აერთებს სხვა და სხვა სკოლებს ერთმანეთთან აკავშირებს მათ სოფლის მოწაფეობასთან. გამგეობის საშვალებით სხვადასხვა სკოლებს აქვს ერთმანეთთან კავშირი. ავიღოთ მაგალითად გაზეთი: „მოწაფის ხმა“. ამ გაზეთის გამოცემაში მონაწილეობას იღებს რამოდენიმე სკოლა. ზოგი სკოლიდან სარედაქციო კოლეგიაში შევიდნენ მოწაფეთა წარმომადგენლები. ესენი არიან იგივე თვითმართველობა, მხოლოდ არა ერთი, არამედ რამოდენიმე სკოლის, საერთო საქმის გასაძღოლად. ერთი სკოლა ამას ვერ მოაწყობდა და რამოდენიმე სკოლამ შესძლო ეს მაშასადამე, გამგეობა არის საჭირო სკოლების გაერთიანებისთვის. სკოლების გაერთიანება-კი საჭიროა რამე ნაყოფიერ საქმისთვის. ამიტომ ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ყოველ სკოლაში მოეწყოს გამგეობა მოწაფეთა ყოფა-ცხოვრების მოსაწყობად და სწავლა-აღზრდის საქმის განსამტკიცებლად. მალე მოვაწესრიგოთ ეს საქმე, რომ არ ჩამოვრჩეთ სხვა სკოლებს თვითმოქმედება-შრომაში. **თვითმართველობა საჭიროა ყველა სკოლისათვის.**

გაუმარჯოს ახალ სკოლას!

გაუმარჯოს მოწაფეთა თვითმართველობას!

მერაბ ორახელაშვილი.

მე-14 შრ. სკოლა.

ჩემი მოწოდება.

ჩამოვგლიჯა ფარდა ძველი ამღვრეულ ქაოსს,
და გაიფანტა ის ახალის მწვავ მოლოდინში,
ღონე მოეცა მუშას, დღემდე ჭმუნვითა ნაოსს,
მონობის ჯაჭვი ილეწება ნამყოს ქვითინში.
და ახმაურდა,აცისკროვნდა ბნელი ქარხნ
ბარიკადების და მსხვერპლების მონაპოვარით
მუშამ შეიგნო ბრძოლაშია ის „საწადელი,“
და მას მიენდო მტკიცე ნებით, შეუპოვარით.
და ჰა, ძმობილნო, იმ შრომისა ნაყოფი წმინდა...
ჩვენმა მამებმა მოიხადეს თავისი ვალი,
და დღეს მათ შვილებს, დიდი შრომა და ჯაფა გვინდა.
რომ განვამტკიცოთ, ავაყვავოთ ჩვენ მომავალი.
ავსწიოთ დროშა--„მოწაფის ხმა“ მხიარულ სახით,
ნუ შეგვაშინებს დაბრკოლება ჩვენ მრავალგვარი,
ამხანაგებო, ჩვენ ახალი ყოფნა გვეძახის, მაშ, სწავლით, წინ! წინ! გადავლახოთ კლდე-ღრე, ეკლნარი.

ვალ. მუჯირი.

მე 14 შრ. სკოლა.

მოწაფის დღიურიდან.

ოთხი გაკვეთილის შემდეგ ჩქარი ნაბიჯით წამოვედი სახლში და მაშინვე საჭმელების განჯინას მივვარდი.

განჯინაში ორი ნატეხი წინა დღინდელი პური დაიხვდა, მაშინვე ჩავიდე პირში და დაუწყე ნერწყვს მოგროვება, რათა დამესველებინა გამშრალი ლუკმები და გამეადვილებინა გადაყლაპა.

ჩემი ასეთი შიმშილის მიზეზი ის იყო, რომ დილაზე ვგიან ავდექი. ავდექი, თუ არა, მაშინვე დავხედე საათს. ზარის დარეკამდე სულ რამოდენიმე წამი დარჩენოდა. დავიბანე საჩქაროდ პირი, წამოვავლე წიგნებს და ფანქარს ხელი და უსაუზმოთ სასწავლებელში გავიქეცი.

გადავყლაპე ხმელი ლუკმები, მაგრამ ვი, რომ ცოტა იყო და დავიწყე ძებნა ახლა სხვა ადგილას, ისეთ ადგილებშიაც კი მივიდოდი, სადაც პურს არავინ არ მიიტანდა. გამშარებული ვეკითხებოდი ჩემ თავს. ნეტავი სად წავიდა? რაიქნა დიასახლისი? ან ფული ხომ არ დაუტოვებია პურისთვის? მაგრამ არც ფული, არც პური, არც პასუხი და უნებურად უნდა მემარხულებია დიასახლისის მოსვლამდე.

სწორედ იმ დღეს მოვიტანე სახლში ფრანგულიდან გადმოთარგმნილი წიგნი ანრი-ბარბიუსის თხზულება „ცეცხლი“ და დავიწყე კითხვა.

წავიკითხე 3—4 გვერდი და წამოვხტი ზეზე, გამახსენდა შიმშილი და ხელახლა დავიწყე პურის ძებნა, მაგრამ ახლაც რას ვნახავდი, დაღონებულ მოუჯეი ისევ წიგნს საკითხავად.

წავიკითხე კიდევ რამოდენიმე გვერდი და ავ, ამიჭრელდა თვალები: ვკითხულობ ასოებს, გამოდის სიტყვები, მაგრამ იმ სიტყვების კვალი არ რჩება ჩემს გონებაში.

ახლა უკვე ასოების მაგიერ თვალწინ ცხელი საჭმელების ორთქლი მეხატება. როდესაც თვალს ვაყოლებ წიგნის გვერდის ქვედა პწკარებს, ასე მგონია, ზეკითა პწკარზე ცხელი შეჭამანდიანი მათლაფა სდგას და ორქლი ასდის. გადავავლებდი თვალს ზედა პწკარებს და ისევ გახვაგრძობდი კითხვას... ვეღარ მოვითმინე და წამოვხტი ზეზე, გავიარ-გამოვიარე ოთახებში და ისევ დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ რა ვჭამო სადილობამდი, რით მოვიკლა შიმშილი?—გამახსენდა, სადღაც ყუთში ოღნაშოს ტყლაპი იყო, მოვძებნე, ამოვიღე, დაუწყე ჭამა, მაგრამ მალე მომკვეთა კბილი.

დავანებე ტყლაპის ჭამას თავი და დავჯექი ისევ წიგნის საკითხავად.

ტყლაპის ჭამის შემდეგ უფრო ძლიერ მოვედი მადაზე. მომივა პირში ნერწყვი, გამაჟრჟოლებს, გადავყლაპავ. კიდევ მოვა...

ახლა ვკითხულობ მოთხრობის იმ ადგილს, სადაც სანგრის მცველი, სიცივისაგან აკანკადებული ჯარის კაცები ლანძღვა გინებით იხსენიებენ თავიანთ მზარეულს, საუზმის დაგვიანებისათვის.

მთელი ჩემი არსებით ვეთანხმები ჯარისკაცებს და თან პირში მოსულ ნერწყვს გულმოდგინეთ ვყლაპავ. მაგრამ აი გამოჩნდა მზარეულიც, მისმა მოსვლამ და საუზმის მიტანამ ძალიან გაახარა ჯარის კაცები, მაგრამ როდესაც ქვაბში ჩაიხედეს, ისპანახი და ცერცვი დაინახეს. ზოგმა უმადური ბუზღუნი დაიწყო. იმ ბუზღუნა ჯარის კაცებთან ვიყავი სულით და გულით, იმათთან ერთად მეც უკმაყოფილო ვიყავი, თითქოს ჩემთვისაც ცერცვი და ისპანახი მოეტანოთ. ჯარის კაცებმა დაიწყეს ჭამა. ვკითხულობ ამ სტრიქონებს და ნერწყვს ჩქარ-ჩქარა ვყლაპავ.

გაათავეს ჯარისკაცებმა საუზმე და ვკითხულობ, რომ ახლა სიანოვნებით მირომეევენ ცხელ ყავას; მაგრამ ვაი ასეთ წაკითხვას. კუჭი მეწვის, კბილები მიკაწკაწებს და უნებურად ვაკრაჭუნებ. ძალა არ შემწევს განვაგრძო მოთხრობის კითხვა, რომელიც შიმშილის ასე ძლიერად მაგრძნობინებს.

წამოვხტი ზეზე და აჩქარებული ნაბიჯით ბოლთასა ვცემ ოთახში, თან ვფიქრობ, თუ როგორ გავძლო, როგორ ვერ მომითმენია ამოდენა კაცს ცოტა ხნით შიმშილი. ვთხოვო მეზობელს პური?—სირცხვილია,-დამცინებს; ვთხოვო ვინმეს ფული,—მეშინია, ისიც დამცინებს, არა და რავქნა, რით გავირთო თავი, ვიკითხო ისევ ბარბუსის „ცეცხლი“? მეშინია, ვაი თუ ისევ საჭმელებზე იქნეს საუბარი. სხვა წიგნი არ მაქვს... ჩამიყვია ჯიბეებში ხელები, ბოლთასა ვსცემ ოთახში, დავჩერებიავ იატაკს და უხვად-ვყლაპავ ნერწყვს...

ნიკოლოზ კანდელაკი.

მე-15 შრომის სკოლა.

საყვარელო ამხანაგებო!

მე მგონია საწყენად არ დაგირჩებათ, როდესაც თქვენი გაზეთის ფურცლებზე ამოიკითხავთ თქვენივე მასწავლებლის პატარა, უბრალო წერილს. მე მინდა იცოდეთ, რომ თქვენთან ერთად ხარობს დღეს ქართველი მასწავლებლის გულიც. ვერ წარმოიდგენთ, როგორი გამოუთქმელი კმაყოფილებით და სიამოვნებით ეკითხულობ თქვენს გაზეთს—„მოწაფის ხმა“-ს. მე მგონია თქვენც უნდა გრძნობდეთ, რომ თქვენი წინსვლა, თქვენი წარმატება, თქვენი გამარჯვება,—ეს ჩვენი გამარჯვებაცაა.

გადაჭარბება არ გეგონოთ,—ჩვენი სიხარული, ჩვენი იმედი თქვენ ხართ. რამდენჯერ, ჩემო კარგებო, დაღლილ-დაქანცულს, სევდითა და ბოღმით აღსავსე ქართველ მასწავლებელს თქვენი შეხედვით, თქვენზე ზრუნვით და შრომით ისევ გაუხარონია, თქვენი იმედით პირადი დარდიც დავიწყებია და ისევ გამაგრებული, გასალკლდევებული ჩაბმულა თავდავიწყებით შრომაში თქვენს საკეთილდღეოთ. ჩვენი სურვილია განსპეტაკდეთ და ამაღლდეთ სულით, გონებით, მიეჩვიოთ შრომას, გამოხვიდეთ პატიოსანი, ხალხისთვის სასარგებლო მოქალაქენი. ჩვენი დროის მოწაფეობა არ იყო ისეთი ბედნიერი, როგორც თქვენ რევოლიუციამ შეგძინათ თქვენ ეროვნული სკოლები, სადაც საშვალება გეძლევათ ისწავლოთ და განვითარდეთ თქვენს სამშობლო ენაზე. ეს კი დიდი ბედნიერებაა. ენა—ერის სული და გულია, თუ თქვენ გეყვარებათ თქვენი ენა, თუ თქვენ შეისწავლით მას და მის აყვავებასაც ხელს შეუწყობთ,—უფრო კარგად ჩასწვდებით ხალხის სულსა და გულს, უფრო მიხვდებით მის ავსა და კარგს, უკეთესად გეცოდინებათ სად სჭირდება მას დახმარება და შველა.

ისწავლეთ, იშრომეთ, კარგები გამოდით და იცოდეთ, რომ ჩვენ თქვენთვის ვართ. ჩვენი გამოცდილება, ჩვენი ცოდნა, ჩვენი სიყვარული,—სულ თქვენთვისაა, სიხარულით დავიფერფლებით თქვენს სამსახურში. ეცადეთ, რომ დაწყებული საქმე ბოლომდის მიიყვანოთ.

„მოწაფის ხმა“ ხომ პირველი ნაბიჯია, პირველი ცდაა თქვენი! მე ვიცი, თქვენს რეფულებში მრავლადაა მოთხრობები, ლექსები, მშვენიერი ნახატები. და თუ ჯერ-ჯერობით გაზეთი „მოწაფის ხმა“ გვახარებს, ახლო მომავალში ალბად თქვენ მიერ გამოცემული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალით დავსტკბებით. მაშ გაიზარდეთ, გაიფურჩქნეთ ჩვენდა სასახელოდ, ქართველ ხალხის და კაცობრიობის საკეთილდღეოთ.

მასწავლებელი ქ. ხ.

შრომა და გამარჯვება.

ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოწაფეთა თვითგანვითარებას, საკუთარ ინიციატივას, როგორი სწავლა-აღზრდა იყო სასწავლებელში წინეთ, როგორი არის ახლა?!

7 ნოემბერს გამოვიდა ჩვენი გაზეთის პირველი ნომერი, „მოწაფის ხმა“; ყველა ჩვენგანი სიხარულით მივეგებეთ ჩვენ გაზეთს. კორესპოდენტი, რომელიც ირიგებდა გაზეთს, ვეღარ ასდიოდა მოწაფეთა მოთხოვნილებას. მის გარშემო ათობით, ასობით და მეტიც მოწაფეთა ხელები ტრიალებდენ ჰაერში, ყველა გაშმაგებით ისწრაფოდა ხელთ ეგდო გაზეთი, ითხოვდა დაკმაყოფილებას. ყველას გული გაჩქარებით ფეთქავდა; თვალ გაფართოებულნი აშტერდებოდენ მათივე ნაშრომს, პირზე ღიმილი მოსდიოდათ, როცა თვალს გადაავლებდენ გაზეთის ფურცლებს, ბევრს ჩვენგანს თვალწინ წამოუდგებოდა გაგონილი, ან ნახული ძველი დროის სურათები, წარსული და აწმყო.

მართლაც, საყურადღებოა ეს. აქ საჭიროა შედარება ძველისა და ახლის.

წინეთ სად იყო ის წესები, ის პირობები, როგორშიაც ახლა ვიზრდებით ჩვენ? პირიქით, ცემა, ხმის ამოუღებლობა, სახაზავების ტრიალი, ყურის გლეჯა, უმიზეზოთ დათხოვა და სხვა. გადაავლეთ თვალი აკაკი წერეთლის, „ვაჟა ფშაველას „მოგონებებს“ და დარწმუნდებით ძველი სკოლის უკუღმართობაში. თქვენ ხედავთ, თუ რა ზავი ჩამოინგრა ძველსა და ახალს შორის.

სად იყო თავისუფლება, ვინ გაიგონებდა თავისუფალ სიტყვებს გლეხისა და მუშის შვილებისაგან, უპირველესობა სასწავლებელში მიღებაში თავადებს, აზნაურებს, სასულიერო პირებს და ვაჭრებს ქონდა. ჩვენისთანა ღარიბის შვილები კი უსწავლელობით იტანჯებოდენ და სურვილს გულის სიღრმეში იკლავდენ. აი ყველა ამას რომ გაითვალისწინებთ, იტყვით „ძლივს! დიახ, ძლივს“ მოსცილდა მზეს ღრუბლები, ძლივს გამობრწყინდა თავისუფლების მზე. ძლივს წამებულ, ჩაგრულ გლეხთა და მუშების შვილთა სახეზე გამოჩნდა ღიმი. ეს ვისი წყალობით? მუშის და გლეხის მუდმივი ბრძოლისა, ახლა ჩვენ ვართ მომავლის ბურჯნი. წინეთ რომელ მოწაფეს შეეძლო თავისუფლად აზროვნება.

და, მაშ, ცხადია, რომ საკუთარი თვითმართველობის ორგანოების შექმნას ადგილი არ ჰქონდა.

დღეს კი საბჭოთა ხელისუფლების დროს პირველად გადავდგით ნაბიჯი მოწაფეებმა სწავლა-აღზრდის ფრონტზე გამარჯვებისათვის. პირველათ ჩავჭიდეთ მტკიცე კავშირით ხელი ერთი მეორეს; ეს დიდი წარმატებაა, ამას დიდი მომავალი აქვს.

ახლა მინდა ვსთქვა, თუ რა არის გაზეთი და რა მნიშვნელობა აქვს და როგორც უნდა მოპყრობა მას? გაზეთი, ეს ერთად ერთი საშვალებაა მოწაფეების დაკავშირებისა.

„მოწაფის ხმის“ არსებობას ყველა ჩვენგანი უნდა უწყობდეს ხელს, დაუზარებლივ შრომობდეს მის საკეთილდღეოთ და თავისი წვლილიც შექონდეს გაზეთის ფურცლებზე.

მოწკორი კ. გოგვაძე.

მე-14-ტე შრ. სკოლა.

მეცნიერება და ტექნიკა.

მარსის მოახლოვება.

ვინც ოდნავ მაინც არის დაინტერესებული მეცნიერებით და თვალყურს ადევნებს მას, იმას არ გამოეპარებოდა ის დიდი ასტრონომიული მოვლენა, რომელსაც ადგილი ქონდა მიმდინარე წლის 23 აგვისტოს. მარსის მოახლოებაზე მოგახსენებთ. დიდი მზადება ჰქონდათ ასტრონომებს და მათემათიკოსებს ამ დღისათვის.

მთელი განათლებული ქვეყნები ფეხზე დადგა, აუარებელი ხარჯები გასწიეს, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ისეთი მანქანების გამოგონებაში, რომლითაც უფრო ნათლად გამოიკვლევდნენ მარსის ბუნებას. ასე მაგალითად, შვეიცარიაში, იუნგფრაუს მწვერვალზე აგებული იქმნა დიდი ობსერვატორია მარსის გამოსარკვევად, რადგანაც, თვით ასტრონომების სიტყვით, რომლებიც მუშაობდნენ ზემოხსენებულ ობსერვატორიაში იუნგფრაუს მწვერვალი წარმოადგენს საუკეთესო ადგილს გამოკვლევისათვის, რადგანაც მწვრვალამდე არ აღწევს არავითარი ხმაურობა, აქ ატმოსფეროს ოდნავი ღელვაც კი არ არის. საუკეთესო პირობებია გამოკვლევისთვის. ამას გარდა, იმავე მწვერვალზე ცნობილმა ინჟენერმა მარკონიმ, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის რადიოს კვლევის საქმეში, მოაწყო



მ ა რ ს ი.

მძლავრი გადამცემი და მიმღები რადიო საგდურები, სპეციალურად ამასთან კავშირის დასაჭერად. ასევე მოაწყვეს მაროკკოს ობსერვატორია, რომელიც დიდი ხანია აგებული იყო მარსის შესასწავლად, მაგრამ ყველაზე უკეთესი პირობები მარსის შესასწავლად იყო ჩილის რესპუბლიკაში (სამხრეთი ამერიკა) და სწორედ ჩილის მიაშურეს ასტრონომებმა.

ამრიგად ენერგიულად მოჰკიდეს ხელი მეცნიერებმა მარსის შესწავლას ამ იშვიათ მომენტში. თუმცა მარსის შესწავლა დიდი ხანია სწარმოებს, თითქმის ტელესკოპის გამოგონების დღიდან და უკეთაც არის შესწავლილი, ვიდრე სხვა რომელიმე პლანეტა. მაგალითად, იტალიელმა ასტრონომმა ფონტანამ პირველმა შეამჩნია მარსზე შავი ლაქები. მალე ასტრონომმა ჰიუგენსმა გამოარკვია დღე და ღამის სიდიდე მარსზე. 1704 წ. ასტრონომმა მარალდამ აღმოაჩინა მარსის პოლიუსებზე თოვლი, რომელიც თვალს სჭრის ადამიანს თავისი ელვარებით. 1877 წ. ამერიკელმა ხოლმა აღმოაჩინა მარსის ორი მთვარე. იმავე წელს იტალიელმა ასტრონომმა სკიაპარელიმ შენიშნა მარსზე არხები, რამაც დაუსრულებელი კამათი გამოიწვია მეცნიერებში. ეს არხები განსაკუთრებით კარგად მოსჩანს მაშინ, როცა მარსზე თეთრი ლაქები ჰქრებიან, ანუ თოვლი დნება.

დედამიწისა და მარსის ორბიტები სხვადასხვა მიზეზების გამო ერთ ადგილას ახლოვდებიან და 15 წელიწადში ერთხელ მათშორის მანძილი მინიმალურია, სწორედ ამ დროს ხელსაყრელია მარსის დათვალიერება. ამ გვარად ყოველ 15 წელიწადში ერთხელ ასტრონომები იძლევიან ახალახალ ცნობებს მარსის შესახებ, მაგრამ ისეთი მოახლოვება, როგორიც მოხდა მიმდინარე წლის 23 აგვისტოს, არაჩვეულებრივია. აგვისტოს განმავლობაში მარსი საშინელის სისწრაფით გვიახლოვდება ჩვენ, სახელდობრ საათში 80,000 კილომეტრის სისწრაფით, 23 აგვისტოს მარსის სიდიდე 50 ჯერ მეტი იყო ჩვეულებრივზე. იგი თავის წითელი შუქით მეტად ლამაზი დასანახავი და ადვილად გასარჩევი იყო, სხვა ვარსკვლავებისაგან. მას ვერ შეედარებოდა ვერც ვენერა, ან სირიუსი. 23 აგვისტოს მანძილი ჩვენსა და მარსის შორის უკიდურესად მინიმალური იყო საგელდობრ, უდრიდა $53^1/_2$ მილიონ კილომეტრს, ხოლო ჩვეულებრივად მარსი ჩვენგან დაშორებულია 139 მილიონი კილომეტრით ე. ი. $2^1/_2$ ჯერ მოგვიახლოვდა. ასეთივე შემთხვევა განმეორდება 284 წლის შემდეგ ე. ი. 23 საუკუნეში. ისე, რომ არც ერთი ჩვენთაგანი არ მოესწრება მარსის მორიგ მოახლოვებას, თუმც 2 წლის შემდეგ კვლავ მოგვიახლოვდება მარსი, მიუხედავად იმისა, რომ ისე კი არა, როგორც წელს, მაგრამ უკეთესი იქნება მისი შესწავლა, რადგანაც მარსის ის გვერდი, რომლითაც დედამიწისაკენ იქნება მიქცეული, განათებული იქნება მზის სხივებით.

ამის შემდეგ აშკარაა, თუ რატომ მიანიჭეს ასტრონომებმა 23 აგვისტოს უპირატესობა. ამა წლის მარსის მოახლოვებამ გადასწყვიტა მრავალი სადაო საკითხები. ამ მოახლოვებამ დაამხო მთელი რიგი ჰიპოტეზებისა ამა თუ იმ ასტრონომის მიერ გამოთქმული. ასე მაგალითად, იუნგფრაუს ობსერვატორიიდან სადაც მუშაობდენ გამოჩენილი ფრანგი და გერმანელი, ასტრონომები იუწყებიან, რომ ის აზრი, თითქოს მარსზე არხები არსებობდნენ, არ შეეფერება სინამდვილეს, რადგანაც არავითარი ამ გვარი არ მოსჩანდა იუნგფრაუს ტელესკოპში. ხოლო, რაც შეეხება რადიოს საშვალებით მარსთან კავშირის დაჭერას, ჯერჯერობით ვერ განხორციელდა ინჟინერ მარკონის გეგმა, მიუხედავად იმისა, რომ მორკონის ახლო თანამშრომელი ინჟინერი ერთხელ, რომელიც რადიო მიმღებ აპარატთან იდგა, ამტკიცებს, რომ მისმა აპარატმა უეცრად მიიღო რაღაც უცნაური არა ამ ქვეყნიური ნიშნები, რომელიც უთუოდ მარსიდან უნდა ყოფილიყოსო. იმავე ასტრონომების სიტყვით ამ ჟამად მარსზე შუა ზაფხულია.

მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა განთქმული ფრანგი ასტრონომი კამილ-ფლამარიონ, რომელიც იკვლევს მარსს აპრილიდან დღემდე თავისსავე ობსერვატორიაში, რომელიც დაარსა 1883 წელს ჟიუვიზში. იგი უდიდესი მომხრეა იმ აზრის, რომ მარსზე სიცოცხლე არსებობს და ამას ასაბუთებს იმით, რომ თვით უშორეს ნეპტუნსაც კი აქვს საკუთარი სითბო. ნეპტუნი დაშორებულია მზისგან 4,500,000,000 კილომეტრით და რატომ არ შეიძლება, რომ პატარა მარსსაც ჰქონდეს ასეთი სითბო, რომელიც თითქმის ჩვენი მზის სხივებში დასცურავს ნეპტუნთან შედარებით.

ეს ასე არის.

მართალია, მარსსზე თხელი ატმოსფერაა და ამავე დროს სიცივეც, მაგრამ იქ ისეთი არსებანი იქნებიან, რომლებიც შეგუებული არიან ამ „ყინულის უდაბნოს„, როგორც მას უწოდებენ თეორეტიკოსები. ფლამარიონი მათ დასცინის და უწოდებს საბრალოებს, რომლებსაც



ფლამარიონი იკვლევს მარსის მოახლოვებას.

ლითად, იუნგფრაუს ობსერვატორიიდან სადაც მუშაობდენ გამოჩენილი ფრანგი და გერმანელი, ასტრონომები იუწყებიან, რომ ის აზრი, თითქოს მარსზე არხები არსებობდნენ, არ შეეფერება სინამდვილეს, რადგანაც არავითარი ამ გვარი არ მოსჩანდა იუნგფრაუს ტელესკოპში. ხოლო, რაც შეეხება რადიოს საშვალებით მარსთან კავშირის დაჭერას, ჯერჯერობით ვერ განხორციელდა ინჟინერ მარკონის გეგმა, მიუხედავად იმისა, რომ მორკონის ახლო თანამშრომელი ინჟინერი ერთხელ, რომელიც რადიო მიმღებ აპარატთან იდგა, ამტკიცებს, რომ მისმა აპარატმა უეცრად მიიღო რაღაც უცნაური არა ამ ქვეყნიური ნიშნები, რომელიც უთუოდ მარსიდან უნდა ყოფილიყოსო. იმავე ასტრონომების სიტყვით ამ ჟამად მარსზე შუა ზაფხულია.

მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა განთქმული ფრანგი ასტრონომი კამილ-ფლამარიონ, რომელიც იკვლევს მარსს აპრილიდან დღემდე თავისსავე ობსერვატორიაში, რომელიც დაარსა 1883 წელს ჟიუვიზში. იგი უდიდესი მომხრეა იმ აზრის, რომ მარსზე სიცოცხლე არსებობს და ამას ასაბუთებს იმით, რომ თვით უშორეს ნეპტუნსაც კი აქვს საკუთარი სითბო. ნეპტუნი დაშორებულია მზისგან 4,500,000,000 კილომეტრით და რატომ არ შეიძლება, რომ პატარა მარსსაც ჰქონდეს ასეთი სითბო, რომელიც თითქმის ჩვენი მზის სხივებში დასცურავს ნეპტუნთან შედარებით.

ეს ასე არის.

მართალია, მარსსზე თხელი ატმოსფერაა და ამავე დროს სიცივეც, მაგრამ იქ ისეთი არსებანი იქნებიან, რომლებიც შეგუებული არიან ამ „ყინულის უდაბნოს„, როგორც მას უწოდებენ თეორეტიკოსები. ფლამარიონი მათ დასცინის და უწოდებს საბრალოებს, რომლებსაც

დაისი მამადავითზე.

გადამეშალა თბილისის ვრცელი მიდამო,
ბუნება, მთა, ტყე, ნიავი ტკბილი, საამო.
ოხ! რა კარგია აქ ყოფნა ყოველ საღამო,
რომ გულის წყლული, ვარამი აქ დააამო.

—:—

გაივსო გული შვებით და აღმაფრენებით,
მოქანცული ქალაქი უამრავი ფერებით,
კამარაზე ღრუბლები ცეცხლის მერეებით,
და ქარხნების შავი ბოლი მრავალი ფენებით!

—:—

წარმტაცია დაისისას თბილისის ბუნება,
თითქოს რაღაც გამოუთქმელ სიტყვებს გეუბნება,
მრავალფერი სურათები თვალწინ გაგეშლება,
თან მტკვარი კი ძველ ლეგენდას სულ გედუდუნება.

—:—

მოჭრის, მუზა ფრთაგაშლილი ლექსის დასაწერად,
პოეტების სიკვდილმა კი გული სულ დასერა,
ილიას და აკაკის აქ უყვარდა მღერა,
აქ დაიწყო ქართველთათვის მათი გულის ძგერა.

ირაკლი შანიძე.

წითელი ხანა.

ცა მოკამკამე, სახე ბრწყინვალე
დასცქერს მიდამოს და მზე ციალებს,
ნიავი მოჭრის სასიამოვნო
და წითელ დროშებს მოაფრიალებს.
ყვირის საყვირი, მუშათა ჯარი
ქარხნისკენ მიდის, მიეშურება,
სიხარულითა გული უფეთქავთ,
მზისა სხივები გულს ეპკურება.
წითელი დროშით, ჩაქუჩით, ნამგლით,
გამოვაფხიზლეთ ქვეყნიერება,
მოვსპეთ მონობა, ტანჯვა, წამება,
და დავამყარეთ ბედნიერება.
დღეს დადგა ჩვენთვის **წითელი ხანა,**
ავალთ კვარცხლ-ბეკზე მზის სამყაროში,
დღეს ამით ვხარობთ ყველა მშრომელი,
დღეს ეს განძია ჩვენ სალაროში.
ცა მოკამკამე, სახე ბრწყინვალე
დასცქერს მიდამოს და მზე ციალებს,
ნიავი მოჭრის, სასიამოვნო
და წითელ დროშებს მოაფრიალებს.
საყვირი ჰყვირის, გრგვინავს ქარხანა
და თავს ეხვევა კომლთა ღრუბელი,
ჰა ამოძრავდა აგერ მანქანა,
და ამუშავდა მშრომელთა ხელი.

შოთა ჩივაძე.

მე 29 შრომის სკოლა.

დღე და ღამე კი თითქმის ერთნაირია. მარსის დღე ღამე უდრის 24 ს. 37 წმ. 27 წთ.

ამ რიგათ, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მარზე სიცოცხლე არსებობს. რასაკვირველია უშუალოდ შეგუებული მარსის ბუბუნებასთან, მაგრამ იქ რა არსებანი ცხოვრობენ, ამის თქმა ძნელია.

ან კი რატომ არ უნდა არსებობდეს მარსზე სიცოცხლე და რატომ მხოლოდ მიწას არგუნა გამჩენმა ასეთი ბედი? იმ მიწას, რომელიც მხოლოდ ატომს წარმოადგენს სამყაროსას, იმ სამყაროსას, რომლის რადიუსიც უდრის ამერიკელი მეცნიერის არჩიბალდ ჰენდერსონის გამოანგარიშებით 150 მილიონ სინათლის წელიწადს. (სინათლის წელიწადი არის მანძილი რომელსაც გაივლის სინათლის სხივი წელიწადში) სინათლე წამში გადის 280,000 კილომეტრს, ანუ სულმთლად უდრის 1,419,120,000,000,000,000 კილომეტრს. რის წარმოდგენა არ შეიძლება.

ვანო წიქვაძე.

მე-14 შრ. სკოლა.

წ ე ს ი.

სახალხო არტისტი ვასო სარაჯიშვილის დაკრძალვისა.

განსვენებული ასვენია ხელოვანთა სასახლეში (მაჩაბელის ქუჩა № 13).

ცხედართან მორიგეობს საპატიო ყარაული პროფკავშირების, ხელოვნების მუშაკთა კავშირის, ხელოვანთა სასახლის, ოპერისა და დრამის თეატრების, კონსერვატორიის, მუსიკოსთა, მწერალთა, მხატვართა საზოგადოების დილის ცხრა საათიდან, საღამოს ათ საათამდის.

ამავე დროს განმავლობაში სასახლე ღიაა განსვენებულის პატივის მცემელ თათვის.

ყოველ დღე 12—2 საათ. და 6—8 საათ. სამგლოვიარო ნომრებს ასრულებს ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების ორკესტრი.

კვირას 16 ნოემბერს სასახლე გაიღება დილის 11 საათზე, ამავე დროს საპატიო ყარაული რესპუბლიკის დამსახურებული არტისტებისა (ვასო აბაშიძე, ნიკო გოცირიძე, ი. ფალიაშვილი) და ხელოვანთა კავშირის თავმჯდომარე კ. მაყაშვილი დგება სადარაჯოზე.

11 და ნახევარ საათიდან ხელოვანთა სასახლე იღებს დელეგაციებს. დელეგაციები ეწყობა სასახლის ბაღში.

პროფკავშირები თეატრები, კონსერვატორია, ხელოვანთა სასახლე, სხვადასხვა კავშირები მოდიან განოვის ქუჩიდან ბებუთოვის ქუჩით მაჩაბელის ქუჩაზე სასახლესთან და ხსენებული რიგით იკავებენ მათთვის მიჩენილ ადგილს მაჩაბელის ქუჩაზე.

გამოსვენება სრულ 12 საათზე.

გამოსვენების წინ სიტყვა მიეცემა მთავრობის წარმომადგენლებს და ტრიო შეასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს.

ცხედარს გამოასვენებენ მთავრობის წევრნი და საპატიო ყარაული, ხოლო შემდეგ მოასვენებენ დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

გამოსვენების უმალ სიტყვა ეძლევა ხელოვანთა სასახლის წარმომადგენელს.

პროცესია შეჩერდება ქალაქის აღმასკომთან, მთავრობის სასახლესთან, მუშათა სასახლესთან, რუსთაველის თეატრისა, დრამისა და საოპერო სტუდიების წინ, შემდეგ რუსთაველის პროსპექტზე კონსერვატორიის პირდაპირ და ოპერის თეატრის წინ.

სახელებულ ადგილებზე სიტყვები ეძლევათ ხსენებულ დაწესებულებათა წარმომადგენლებს.

რუსთაველის თეატრის წინ სიტყვა ეძლევა ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლებს.

ოპერის თეატრის აივანზე შესრულებულ იქნება კანტატა „აბესალომ და ეთერიდან“ და „ტირილი“ დაისიდან“.

დაკრძალვა ოპერის თეატრის ბაღში მიმდინარეს მხარეს. საფლავზე სიტყვას წარმოსთქმენ ჭირისუფალნი, მთავრობის წარმომადგენელნი, სახელოვნო საბჭოს მთავარ საბჭოს წარმომადგენელნი.

პროცესიაში მონაწილეობენ ორკესტრები და ხოროები.

პროცესიის გზას ყვავილებით ჰფენენ კონსერვატორიის და სტუდიების მოწაფეები.

პროცესიის ხელმძღვანელნი: კ. მარჯანიშვილი და ა. პოკროვსკი.

დამკრძალავი კომისია.

მთავრობის მოკვედეგანი და განკარგულეგანი

დადგენილება № 173.

ს. ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატისა 1924—25 სასწავლო წლის განმავლობაში სწავლის ფულის გადასახადის შესახებ.

უწევს რა ანგარიშს ჩვენს ნორჩს, ახალ პრინციპებზე აგებულ და სრულიად ახალ მონაცემების განმახორციელებელ სკოლის მრავალ საჭიროებათა დაკმაყოფილების აუცილებლობას, როგორც მაგალ. სკოლების კაბინეთ-ლაბორატორიებით მოწყობა და სხვა, ხოლო მეორე მხრით ითვალისწინებს რა რესპუბლიკის მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, რომელიც ხელს უშლის სკოლების სამეურნეო და სასწავლო ხარჯების სავსებით დაკმაყოფილებას, განათლების სახალხო კომისარიატი იძულებულია განაგრძოს კვლავ დროებით, მანამ გაუმჯობესდება სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობა, წინა წლებში მიღებული სწავლის ფულის გადახდევინების წესი ამ მიმდინარე 1924/25 სასწავლო წელშიც და ამიტომ ადგენს:

1. დატოვებულ იქნას **უფასო სწავლება**: ა) პირველ საფეხურის შრომის სკოლებში (1—4 განყ.) და ბ) ყველა პედაგოგიურ და პროვინციაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმებში.

2. შემოღებულ იქნეს სწავლის ფულის გადახდევინება: 1) ყველა უმაღლეს სასწავლებლებში ბ) ყველა ტეხნიკუმებში (გარდა § 1-ში ნაჩვენებისა) და აგრეთვე ყველა დანარჩენ პროფგანათლების მთავარმმართველობის გამგებლობაში არსებულ საშუალო სასწავლებლებში. გ) შრომის სკოლების მე-8 და მე-9 ჯგუფებში (მე-2 საფეხ მე-2 კონცენტრი) მთელი რესპუბლიკის მასშტაბით დ) მე-5 6 და მე-7 ჯგუფებში (მე-2 საფ. 1-ლი კონცენტრი) ამ შრომის სკოლებისა რომლებიც არსებობენ: თბილისში, ქუთაისში, ფოთში, სენაკში, ზუგდიდში, ოზურგეთში, სამტრედიაში, ხონში, ზესტაფონში, ონში, ხაშურში. გორში, ჭიათურაში, ახალციხეში, ახალქალაქში, ლიუქსემბურგში, თელავსა და სიღნაღში.

3. გადასახადის რაოდენობა განსაზღვრულია: ა) უმაღლეს სასწავლებლებში 50 მ. წელიწადში. ბ) ტეხნიკუმებისა და შრომის სკოლების მე-8 და მე-9 ჯგუფებში 21 მ. გ) შრომის სკოლების მე-5, 6 და მე-7 ჯგუფებში 15 მ.

შენიშვნა: 1. უმაღლეს სასწავლებლებში, გარდა 50 მანეთისა, წესდება **ოთხმანეთიანი** ცალკე გადასახადი, რომელიც სავალდებულოა გამოუკლებლივ უმაღლეს სასწავლებლების ყველა სტუდენტთათვის.

შენიშვნა: 2. ამა 1924 წლის შემოდგომით უმაღლეს სასწავლებლებში ფასიან ადგილებზე მიღებული სტუდენტები არავითარ შემდხვევაში არ თავისუფლდებიან სწავლის გადასახადისაგან (იხ. უმაღლ. სასწავლებლებში 1924|15 სასწავლო წელში მიღების პირობების § 7 მუხ. ბ., შენიშვნა).

4) გადასახადი შეტანილ უნდა იქნეს უმაღლეს სასწავლებლებში ნახევარი წლით (არა უგვიანეს 1 დეკემბრის და 1 აპრილის. ხოლო ტეხნიკუმებსა და შრომის სკოლებში—სამ გზობად: 1) არა უგვიანეს 1 ნოემბრისა; 2)—პირველი თებერვლისა და 3)—1-ლი აპრილისა.

5. შვილების სწავლის ფულის გადასახადისაგან თავისუფლდებიან: ა) წითელ არმიელნი; ბ) ომში და შრომისაგან დასახიჩრებულნი; გ) გლეხები, რომლებიც კანონით თავისუფლდებიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან. დ) გლეხები, რომლებიც წარმოადგენენ სიღარიბის მოწმობას სათანადო აღმასკომიდან (მაზრებში სარაიონო, ხოლო თბილისში სამაზროსაგან), ე) მოსწავლე-სტიპენდიანტები და აგრეთვე სამაგო სახლებიდან მოსიარულე მოსწავლენი; 3) სასკოლო მუშაკები, პედაგოგები და ტეხნიკური თანამშრომელნი, რომლებიც ამჟამად მსახურობენ, ვ) პედაგოგები, რომელთაც უმსახურიათ არა ნაკლებ 15 წლისა და, თუ ამჟამად მსახურობენ, ღებულობენ საერთო ხელფასს არა უმეტეს 40 მან. თვეში. ზ) უმუშევარნი, რომელნიც გატარებული არიან რეგისტრაციაში შრომის ბირჟაზე და უფლება აქვთ სოციალურ დაზღვევის დახმარებაზე; თ) მუშა-მოსამსახურენი (პროფ-კავშირის წევრნი), რომელთა ყოველგვარი საერთო ხელფასი არ აღემატება 40 მანეთს თვეში.

შენიშვნა: თავისუფლდებიან აგრეთვე სრული ობლები იმ პირთა, რომელნიც ჩამოთვლილი არიან მე-ა §-ში.

6. სწავლის ფულის გადასახადისაგან განთავისუფლების საკითხს იხილავენ უმაღლეს სასწავლებლებში გამგეობები, ხოლო ტეხნიკუმებსა და შრომის სკოლებში მათი პედაგოგიური საბჭოები.

შენიშვნა: პედაგოგიურ საბჭოებს მოწაფეთა კომიტეტების წარმომადგენლებთან ერთად უფლება ეძლევა გაანთავისუფლონ გადასახადისაგან, გარდა მე-ა თავის ყველა მუსლებში ნაჩვენებ პირებისა კიდევ სხვა მოწაფესაც, მაგრამ მოწაფეთა საერთო რიცხვის არა უმეტეს 5 პროცენტისა. ასთანავე პირველ რიგში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მშობლების წერილშვილიანობა (რამდენიმე მოწაფე ერთი ოჯახიდან ფასიან სკოლებში) და აგრეთვე მოწაფის წარმატება და მის მიერ თავისი მოვალეობისადმი მოსყრობა.

7. საერთო ჯამი შემოსულ სწავლის ფულისა შეადგენს სასწავლებლის სპეციალურ თანხას; ამ თანხის მიღების, შენახვის და დახარჯვის წესები განისაზღვრება ამიერ-კავკასიის კომისართა საბჭოს 1923 წლის 14 აგვისტოს № 73-ის დადგენილებით.

განათლ. სახ. კომისრის მაგ.

მ. ორახელაშვილი.

საქმეთა მმართველი

ალ. მიქაბერიძე.

ოქტომგბრის 7 წლის თავი ქ. ტფილისში.

ოქტომბრის დღესასწაულის ერთი კვირის წინ. ქ. ტფილისში დაიწყო დიდი სამზადისი ოქტომბრის რევოლიუციის 7 წლის თავის სადღესასწაულოდ. ამ დროის განმავლობაში ყველა დიდი შენობა მწვანე გირლიანდებით და წითელი დროშებით მოირთო. გამოიფინა თითქმის ყველგან, დაწესებულების და მაღაზიების წინ, რევოლიუციის ბელადების სურათები და ბიუსტები, მორთული ყვავილებით და წითელი დროშებით, ქალაქი მოირთო და გალამაზდა.

გათენდა 7 ნოემბერი, ამინდი ძალიან ცუდი დადგა. წვიმა და ქარი ჰქროდა. მიუხედავად ამისა ხალხი ქუჩებში მაინც მრავალი იყო და ქ. ტფილისს დიდი სიხარული ეტყობოდა.

აღლუმი გაიმართა მე-21 ფეხოსან ჯარის მოედანზე. აქ მოდიოდა მრავალი ჯარი, სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან დელეგატები თვის დროშებით. მთელი მოედანი გაიავსო. სულ ბოლოს გამოჩნდნენ პასუხისმგებელი ამხანაგები პუგაჩევის მეთაურობით, ამათ ინახულეს მთელი ჯარი.

„ვაშა“ს ძახილი გაისმოდა მოედნის ყველა მხრიდან.

როდესაც ჩამოუარეს მთელ ჯარს, ყოველმა მათგანმა მიმართა ჯარს მილოცვით და სალამით. შემდეგ ჯარმა დაიწყო ფიცის დადება. გამოდიოდნენ რიგები და ფიცს სდებდენ, რომელიც თავდებოდა „ვაშას“ ძახილით და მუსიკით. ბოლოს ორმა ამხ. სთქვა სიტყვა და აღლუმი გათავდა.

საღამოს გამოიდარა და ტფილისს უფრო მეტი სიცოცხლე დაეტყო. ხალხი მიეჩქარებოდა თეატრებში, კინოებში და სხვაგან. შენობები, რომლებიც იყო მორთული მწვანით და დროშებით, გაჩირაღნდა სხვადასხვა ფერ სინათლით. ზოგიერთ ადგილებში შუშხუნებს უშვებდენ. სამ დღეს დღესასწაულობდა ტფილისი ამ დიდ დღესასწაულს.

ნ. ალნიაშვილი.

ტფ. 1. საც. საჩ. შრ. სკოლა.

ოქტომგბრის რევოლიუციის ზეიმი ჩვენს სკოლაში.

ახლოვდებოდა პროლეტარიატის საერთაშორისო დიდი დღესასწაული, წითელი ოქტომბერი. ეს დღე მთელი თავისი ისტორიული მნიშვნელობით ყოველ ჩაგრულთა და მშრომელ ხალხისთვის და აგრეთვე მოსწავლე ახალგაზრდობისათვის უდიდეს მოვლენად ჩაითვლება.

მან მოიტანა თავისუფლება მშრომელი მასისა, თავისუფლება ჩაგრულ ერებისა ტ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, ამიტომ საბჭოთა კავშირში, სადაც გამეფებულია მშრომელთა ხელისუფლება, განთავისუფლებულმა ერებმა მოსწავლე ახალგაზრდობამ დიდი ზეიმით იდღესასწაულა ეს დღე.

მოსწავლე ახალგაზრდობა არ ჩამორჩა სხვებს უკან და მანაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ დღესასწაულში. კერძოდ, ჩვენს სასწავლებელში მოწაფეობა ამ დიად დღეს დიდის აღტაცებით და აღფრთოვანებით მოელოდა. წინდაწინვე შეუდგენ შეძლების დაგვარად მზადებას, გამოსცეს კედლის გაზეთები, სადაც მოწაფეების გულის ნადებია გამოთქმული. სასწავლებელში მორთეს ოთახები სადღესასწაულოდ, სადაც კედლებს ამშვენებდენ რევოლიუციის ბელადთა სურათები და შესაფერი ლოზუნგები. მოწყობილ იქმნა კრებები, სადაც წაიკითხეს მოხსენებები ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ. წაკითხული იქმნა კედლის გაზეთები და გაზეთი „მოწაფის ხმა“, რამაც მოწაფეებში დიდი აღტაცება გამოიწვია. ეს გაზეთი გამარჯვებაა მოწაფეობისა.

კრებაზე აღნიშნული იყო ოქტომბრის მნიშვნელობა მშრომელთა მასისათვის და მოსწავლე ახალგაზრდობისთვის, მოწაფეების გუნდი ასრულებდა რევოლიუციონურ სიმღერებს. ეს დღე ჩვენი მოწაფეებისათვის მრავალფეროვანი იყო: აქ თამაში, იქ სიმღერა, სიმხიარულე და აღტაცება, ყოველ მოწაფის სახეზე საზეიმო ელფერი თამაშობდა გამართული იქმნა საღამო—წარმოდგენა რევოლიუციონურ პიესით: „შვიდი ნოემბერი“. საერთოდ საღამო დიდი ინტერესით ჩატარდა. საღამო დასრულდა ინტერნაციონალის სიმღერით, რომელსაც მოწაფეობა ფეხზე ადგომით შეხვდა. ამის შემდეგ ყველა კმაყოფილი დაიშალა.

ვალ. ასათიანი.

გრ. ჩიხლაძე.

მე 15 შრ. სკოლა.

ქართველ მოწაფეოგას.

ტფილისის შრომის სკ. მოწაფეთა საყურადღებოთ!

საყვარელო ამხანაგებო! ალბად ზოგიერთი თქვენგანი გაიგებდა, ან ნახავდა, რომ გამოვიდა გაზეთი „მოწაფის ხმა“. ზოგს შეიძლება არც გაეგონოს და არც ენახოს ის. ამხანაგებო, ამ გაზეთში ყველა თქვენთაგანს შეუძლია თავისუფლად გამოხატოს თავისი გულის ნადები, თავისი ყოფა-ცხოვრება. წინეთ ჩვენ არ შეგვეძლო ჩვენი გულის ტკივილების გამოხატვა. თვითმპყრობელური მთავრობის სკოლები ამის ნებას არ გვაძლევდა. იქ სუფევდა მონური სწავლა-აღზრდა, მოწაფეს განზრახ აცდენდენ ჭეშმარიტების გზას. მოიგონეთ აკაკის მოწაფეობა ტ ნათლოთ წარმოგიდგებათ, თუ რა მდგომარეობაში იყო იმ დროს მოწაფეობა. დღეს კი გაგვითენდა ამხანაგებო, ყველას შეუძლია ამოიღოს ხმა თავის ყოფა-ცხოვრებაზე და გაუზიაროს სხვას თავისი ფიქრი, აზრები, სიხარული, თუ მწუხარება. აი, ამხანაგებო, ყველა თქვენგანმა უნდა მიიღოს მონაწილობა გაზეთ „მოწაფის ხმაში“, რომლის პირველმა ნომერმა დიდი სიხარული გამოიწვია მოწაფეებში. მე იმედი მაქვს, როგორც პირველ ნომერს, ისე სხვა ნომრებსაც ვნახავთ და უფრო მეტი სიხარულით მივეგებებით. მაშ, გაუმარჯოს ჩვენს გაზეთს „მოწაფის ხმას“ და მასთან ჩვენს მოწაფეობის თავისუფლებას!

გრიგოლ ჩიქოვანი.

მე-25 შრ. სკოლა.

დრამატიული წრე.

მე-15-ე შრომის სკოლაში დაარსდა დრამატიული წრე.

წრეში ირიცხება: I და II წყების მე-VII, VIII და IX ჯგუფის მოწაფეები. წრეში ჩაწერის მსურველთა რიცხვი 100 კაცს აღემატებოდა.

2 ნოემბერს უნდა ჩარიცხულიყო ის, ვისაც სასცენო ნიჭი აღმოაჩნდებოდა. ამ მიზნით დანიშნული იყო გამოცდა, გამოცდას ხელმძღვანელობდა ამ. მასწავლ. ი. უშვერიძე. მოწაფეებმა მოითხოვეს კომისიაში მოწაფეებიც ყოფილიყვენ არჩეული. აირჩიესდ. მძინარაშვილი და ხუხუნაშვილი. კომიხიამ ჩაატარა გამოცდები. გამოცდის შემდეგ გამოირკვა, რომ 50 მოწაფეს ეტყობა უნარი სცენაზე მუშაობისა. ეს 50 კაცი გაიყოფა სამ ჯგუფად, თითეული ჯგუფი ითამაშებს ორ ორ თვეს; ჯერ ითამაშებს 1 ჯგუფი, შემდეგ II და IIIმე. დრამატიულ წრეს ხელმძღვანელობენ მასწ. ი. უშვერიძე და თ. მაჩაბელი.

დრამ—წრის გამგეობაში არჩეულ იქნენ შემდეგი პირნი:

1) დ. მძინარაშვილი
2) შ. გოგიტიძე
3) ს. გაბუნია

რადგან ჩვენ სკოლას არ აქვს სათეატრო დარბაზი, ამისათვის ჩვენი მოწაფეები წარმოდგენებს დადგმენ ვერის მუშათა კლუბში. ამ წარმოდგენებს დიდი აღფრთოვანებით ველით.

დ. წერეთელი.

მე-15-ე შრომის სკოლა

ქრონიკა.

— მოწაფის ხმა მოუწოდებს ყველა ქართველ სკოლას გამოგზავნოს „მოწაფის ხმის რედაქციაში“ (განათლების სახალხო კომისარიატი) მოწაფე კორესპონდენტი, რომელიც მიაწვდის გაზეთს მასალებს და კავშირს გაბამს სკოლასა და რედაქციის შორის.

— მეორე მთლიანი სკოლის უფროსი ჯგუფის მოწაფეებმა დაარსეს დრამატიული წრე.

— მე-15 შრომის სკოლის უფროსი ჯგუფის მოწაფეებმა დაადგინეს ჩასაბერ ორკესტრის მოწყობა. მოწაფეები თავისი საშვალებით კისრულობენ ხელმძღვანელის მოწვევას.

— ამავე სკოლაში შესდგა მომღერალ მოწაფეთა გუნდი მუსიკოს ვ. სვანიძის ხელმძღვანელობით.

— ტფილისში ჩამოვიდა ვინმე ავსტრიელი, რომელიც დადის სკოლებში და მოწაფეთას მახარჩობელა გველს უჩვენებს. ამ გველის შესახებ ის ბევრს შეუსაბამო ცნობებს ავრცელებს, რის შესახებაც ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში გვექნება წერილი.

— შრომის სკოლის მე-V, მე-VI მე-VII, მე-VIII, და მე-IX ჯგუფების მოწაფეთათვის დაწესებულია დროებითი სწავლის გადასახადი. მე-V, მე-VI და VII ჯგუფები იხდიან წელიწადში 15 მანეთს, ხოლო მე-VIII და მე-IX ჯგ. 21 მან. დაწვრილებით ცნობები იხილეთ ამავე გაზეთის ნომერში **მთავრობის განკარგულება**.

რედაქტორი: **მოწაფეთა სარედაქციო კოლეგია,**

გამომცემელი: **გ. ხ. კ. სოციალურ აღზრდის მთავარმართველობა.**

მთავარლიტ № 2053 ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრ. განყოფ. 1-ლი სტამბა. დაიბეჭდა -ეკვეთის № 1237 დაიბეჭდება 2.000 ცალი.